




Weber Technologies



მოდელი : W2 – 32A

სპეციფიკაცია

1. მუშა ძაბვა: 200-240 ვოლტი (50ჰც)
2. ამპერაჟი: რეგულირებადი 8-32 ამპერი
3. მაქსიმალური სიმძლავრე: 7კვტ
4. დაცვის საფეხური - IP65 (წყალგამძლე)
5. სადენის სიგრძე - 5მ (±5%)
6. ზომები: 263x182x125მმ

დაცვა

1. მოკლე ჩართვისგან დაცვა
2. მაღალი და დაბალი ძაბვისგან დაცვა
3. მომწამლავი გაზებისგან დაცვა(პროგრამირებადი)
4. გაჟონვისგან დაცვა
5. ავარიული რეჟიმის დაფიქსირების დროს მანქანის დაცვა (გალვანური განმხოლოება).

ფუნქციონალი

1. სამენოვანი ინტერფეისი. ინტერფეისის ენად შეგიძლიათ აირჩიოთ : ქართული, ინგლისური ან რუსული
2. ამპერაჟის რეგულირების შესაძლებლობა. დამტენზე ღილაკებით შეგიძლიათ აირჩიოთ, რამდენი ამპერით გასურთ, რომ დაიტენოს ელექტრომობილი (მინიმუმ 8, მაქსიმუმ 32).
3. დამტენზე ღილაკების საშუალებით შეგიძლიათ ჩართოთ ან გამორთოთ მომწამლავი აირებისგან დაცვა. (თუ დაცვა ჩართულია, დამუხტვის დროს მანქანის მიერ გარემოში გამოყოფილი მომწამლავი აირების დაფიქსირების

შემთხვევაში მოწყობილობა შეწყვეტს დამუხტვის პროცესს, რეკომენდირებულია ჩართოთ ეს ფუნქცია თუ გარემო, რომელშიც მანქანას მუხტავთ არ ნიავედება).

4. მოწყობილობაზე დილაკების საშუალებით შეგიძლიათ მიუთითოთ კილოვატსაათის ფასი და დატენვის დროს მოწყობილობა ავტომატურად დაიანგარიშებს, თუ რამდენი ლარის ელექტროენერგია დაიხარჯა დამუხტვისას.
5. რეალურ დროში ძაბვის და დენის მონიტორინგის საშუალება
6. რეალურ დროში მიმდინარე სიმძლავრის მონიტორინგის საშუალება
7. რეალურ დროში მანქანაში ჩატვირთული სიმძლავრის მონიტორინგის საშუალება
8. რეალურ დროში მანქანის დამუხტვაზე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის მონიტორინგის საშუალება.


გაფრთხილება!

რეკომენდირებულია დამტენისთვის გამოიყენოთ ცალკე ხაზი, რომელზეც არი იქნება სხვა დატვირთვები დაერთებული. ელექტრო სადენის კვეთი უნდა იყვეს არანაკლებ 6მმ^2 . აუცილებელია დამტენთან ახლოს დაყენდეს ავტომატური ამომრთველი (ამომრთველის რეკომენდირებული ამპერაჟია 40ა).


როგორ გამოვიყენოთ

თავდაპირველად შეაერთეთ დამტენი როზეტში. მოწყობილობის ეკრანზე დაინახავთ წარწერას „მზადყოფნა“. ამის შემდეგ მოწყობილობა შეგიძლიათ შეუერთოთ მანქანას და დაიწყოთ დამუშავება.

პროგრამირების რეჟიმში გადასასვლელად დააჭირეთ სამივე ღილაკს ერთდროულად 1 წამის განმავლობაში. პროგრამირების რეჟიმში პირველ საფეხურზე შეგიძლიათ აირჩიოთ ინტერფეისის ენა(ქართული, ინგლისური,რუსული) .




სასურველი ენის არჩევის შემდეგ, შეგიძლიათ
აირჩიოთ ამპერაჟი , 8-დან 32-ის ჩათვლით,
რომლითაც გასურთ, რომ დაიტენოს
ელექტრომობილი.




დენის ძალის შერჩევის შემდეგ ირჩევთ ჩაირთოს თუ არა მომწამლავი აირებისგან დაცვის ფუნქცია.

დახურულ სივრცეში მანქანის დამუხტვისას რეკომენდირებულია ამ დაცვის ფუნქციის ჩართვა.


ჰაერში მომწამლავი აირების დაფიქსირების შემთხვევაში, მოწყობილობა შეწყვეტს მანქანის დამუხტვას.



მომწამლავი აირების დაცვის ჩართვის/გამორთვის შემდეგ, ირჩევთ 1 კილოვატ/საათის ღირებულებას. ეს ინფორმაცია სჭირდება მოწყობილობას, რათა შემდეგ შეძლოს მანქანის დატენვაზე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის დათვლა და თქვენთვის ჩვენება.



დამუხტვის პროცესში ეკრანზე შეგიძლიათ რეალურ დროში უყუროთ სხვადასხვა პარამეტრს.



შპს „ვებერ ტექნოლოჯის“

www.webertech.ge

FaceBook :

Weber Technologies / ვებერ ტექნოლოჯის

E-mail: info@webertech.ge

დამზადებულია საქართველოში